განათლების საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL EDUCATION CENTER

2019
წლის ანგარიში

IEC.GOV.GE

შინაარსი

 სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი 2

სასტიპენდიო პროგრამები 4

2019 წელი 10

განათლების საერთაშორისო ცენტრის
კურსდამთავრებულთა ასოციაცია 19

სტატისტიკა 22

პარტნიორები 24

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი

განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს და 2014-2019 წლებში 850-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა ქვეყანაში და მიღებული ცოდნის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში განაგრძობს.

ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა საზღვარგარეთ მიიღონ საუკეთესო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში განაგრძონ. სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდგომ სამაგისტრო, სადოქტორო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების კურსდამთავრებულები საქართველოში ბრუნდებიან და მოღვაწეობას განაგრძობენ შესაბამის სფეროში 3 წლის ვადით.

დაფინანსება გაიცემა კონკურსის წესით სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

განათლების საერთაშორისო ცენტრი ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ცოდნისა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას უწყობს ხელს.

2019 წელს ცენტრმა 11 პროგრამა განახორციელა, რის შედეგადაც 170 სტიპენდია გაიცა და ბენეფიციართა საზღვარგარეთ სწავლა სახელმწიფოს მიერ 6,000,000.00 ლარზე მეტით დაფინანსდა.

“მოახმარე ჭენი ცოდნა საქართველოს”

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები-2019 წელს ცენტრმა სახელმწიფოს დაფინანსებით 3 სასტიპენდიო და 1 კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა შესთავაზა დაინტერესებულ აპლიკანტებს. პროგრამებით 78 სტუდენტსა და 9 საჯარო მოხელეს მიეცა საშუალება სხვადასხვა ქვეყანაში მიეღო ხარისხი და აემაღლებინა პროფესიული კვალიფიკაცია.

ერთობლივი პროგრამები -2019 წელს 6 ერთობლივი საერთაშორისო სასტიპენდიო სქემით - აშშ-სთან, საფრანგეთთან, უნგრეთთან და იტალიასთან სახელმწიფო ხელშეკრულებების ფარგლებში 83 სტიპენდიატი დაფინანსდა.

კურსდამთავრებულთა ასოციაცია-ქვეყანაში დაბრუნებული კურსდამთავრებულების ინიციატივით 2018 წელს შეიქმნა „ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კურსდამთავრებულთა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას, ასევე ექსპერტული დახმარების აღმოჩენას, სოციალური პროექტების და საზოგადოებრივი პროგრამების ჩამოყალიბებასა და დანერგვას, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ახალგაზრდა სპეციალისტებისა მობილიზებასა და დამატებითი საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში. 2019 წელს ასოციაციამ არაერთი საინტერესო აქტივობა განახორციელა, მათ შორის, ცენტრის დაფინანსებით მცირე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა და კურსდამთავრებულთა 8 პროექტი დააფინანსა სხვადასხვა სფეროში.

პროგრამული სიახლეები-ცენტრი დიდ დროს უთმობს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას. 5 წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასტიპენდიო სქემები 2019 წელს ახალი ვადებით გამოცხადდა, რაც საკონკურსო პროცესების პროგრამის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებას ემსახურებოდა.
2019 წელს ცენტრმა დამატებით ორი საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამა გამოაცხადა: პროგრამები „იტალიის რექტორთა საბჭოსა“ და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა.

სასტიპენდიო პროგრამები
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისთვის, კონკურსის წესით, საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 56 მოქალაქე, მათ შორის - 16 ბენეფიციარს მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე გაუგრძელდა შესაბამისი მიმართულების ორ წლიან სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსება.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისთვის, კონკურსის წესით, საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 11 მოქალაქე, მათ შორის - გასული წლების 10 ბენეფიციარს, მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე გაუგრძელდა შესაბამისი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე დაფინანსება.

საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისთვის, კონკურსის წესით, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 11 მოქალაქე, მათ შორის - გასული წლების 5 ბენეფიციარს, მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე გაუგრძელდა შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსება.

საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისათვის საზღვარგარეთ, არაუმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაზე დასწრების მიზნით, კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 9 მოქალაქე.

სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისთვის, კონკურსის წესით, საფრანგეთში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით დაფინანსდა საქართველოს 12 მოქალაქე, მათ შორის - გასული წლების 4 ბენეფიციარს, მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე გაუგრძელდა შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსება.

სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისათვის პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 49 მოქალაქე.

სტატისტიკა აკადემიური საფეხურის მიხედვით:

- ბაკალავრიატი - 25
- მაგისტრატურა - 22
- დოქტორანტურა - 2

სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის 2019

2019-2020 სასწავლო წლისათვის შეირჩა 1 სტუდენტი შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის კურსზე დასასწრებად:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „National Identity in South Caucasian countries and relations with European Union.“

2019-2020 ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამა FULBRIGHT

პროგრამა ხორციელდება 2016 წელს, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის განათლების სფეროში, თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. 2019-2020 სასწავლო წლისათვის აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის მიზნით შეირჩა საქართველოს 11 მოქალაქე.

აკადემიური პროგრამები იტალიაში 2019-2020

2019-2020 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით დაფინანსდა საქართველოს 5 მოქალაქე იტალიაში, ცენტრის პარტნიორ უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მიზნით პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ მიმართულებებზე.

ტრენინგის პროგრამა - „Doctorate Lab - მომავალი დოქტორანტებისათვის"

პროგრამა ხორციელდება ცენტრის საერთაშორისო პარტნიორების - საქართველოში უნგრეთის, იტალიის და საფრანგეთის საელჩოების მხარდაჭერით, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ქვეყნებიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელების საქართველოში მოწვევას და ვიზიტის ორგანიზებას.
აღნიშნული ტრენინგის პროგრამის მიზანია, საქართველოში უმაღლესი განათლების (დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის) წახალისება/მხარდაჭერა, ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. ასევე, ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობა, რათა გაიღრმავონ ცოდნა საერთაშორისო დონეზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე.

მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გეგმავენ სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ დოქტორანტურის საფეხურზე. აგრეთვე, ცენტრის პარტნიორი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების შესაბამისი ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; კავკასიის უნივერსიტეტი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
პროგრამის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბით დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე არსებული გამოწვევების და თანამედროვე სტანდარტების შესახებ. იტალიის, უნგრეთის და საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემათ შესაძლებლობა კომუნიკაცია დაამყარონ საქართველოში სტუდენტებთან, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებთან, რომლებიც გეგმავენ სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ სადოქტორო პროგრამაზე და ამ გზით მოიძიონ პოტენციური დოქტორანტები საერთაშორისო არენაზე.
2019 წლის 29 ოქტომბერს შედგა საფრანგეთის უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ვიზიტი.
2020 წელს იგეგმება უნგრეთისა და იტალიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების წარმომადგენელთა ვიზიტი.

განათლების საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL EDUCATION CENTER

2019 წელი
სასტიპენდიო შესარჩევი კომისიების სამუშაო შეხვედრა

1-3 მარტს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით სასტიპენდიო პროგრამების კომისიის წევრების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებისა და ცენტრის თანამშრომლების ერთობლივი გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მოსამზადებელი შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო: კომისიის სამუშაო პრინციპებზე, ვადებსა და მიზნებზე შეთანხმება კონკრეტული პროგრამის/ების ფარგლებში.

სამუშაო შეხვედრა ითვალისწინებდა ცენტრისა და კომისიების მიერ სასტიპენდიო კონკურსებისთვის პროგრამული ციკლის ცვლილების, შესარჩევი პარამეტრების, კვოტირებისა და დაფინანსების ოდენობის, მიმართულებების/პროგრამების, შერჩევის სამუშაო/გასაუბრების განრიგის ფორმატზე შეთანხმებას. ამავდროულად, მოხდა გასული წლების სამუშაო პროცესის განხილვა/გაცნობა კომისიის ახალი წევრებისთვის და კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურებზე შეთანხმება.

ქართულ-ფრანგული სასტიპენდიო პროგრამები და თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში

5 აპრილს ,,ფრანგული ინსტიტუტისა'' და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს ორგანიზებით, ,,ფრანკოფონიის თვის'' ფარგლებში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო სფეროში ფრანგულ-ქართული თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი ოფიციალური ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე შედგა განახლებული ფრანგულ-ქართული სასტიპენდიო პროგრამის პრეზენტაცია და მემორანდუმის ოფიციალური ხელმოწერა, მემორანდუმს ხელი ფრანგული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პიერ კლუემ და განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა ნინო ჭელიძემ მოაწერეს.

ფრანგულ-ქართული სამაგისტრო სტიპენდია საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, ფრანგული ინსტიტუტისა და განათლების საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც ყოველ სასწავლო წელს საქართველოს მოქალაქეებს საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში ფრანგულ და ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდებათ. სასტიპენდიო პროგრამა 2021 წლის ჩათვლით განხორციელდება და მის ფარგლებში ათეულობით ქართველი სტუდენტი შეძლებს საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლას.

ხელმოწერის შემდეგ მხარეებმა მიმდინარე სასტიპენდიო პროგრამის გამარჯვებულებიც გამოავლინეს და მათ სერტიფიკატები გადასცეს.
საგანმანათლებლო სფეროში საფრანგეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია.

განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი ნინო ჭელიძე აკადემიური პალმის ორდენით დაჯილდოვდა

5 აპრილს, განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორს ნინო ჭელიძეს საფრანგეთის ელჩმა საქართველოში, პასკალ მენიემ საფრანგეთის სახელმწიფოს საპატიო ჯილდო - ,,აკადემიური პალმის ორდენი'' - გადასცა.

ნინო ჭელიძე 2015 წლიდან სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორია. აქვს როგორ სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე საერთაშორისო ფონდებსა და საუნივერსიტეტო სფეროში - აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

,,აკადემიური პალმის ორდენებით'' დაჯილდოება ჯერ კიდევ 1808 წლიდან ნაპოლეონ პირველმა დააკანონა, 1955 წელს კი პრეზიდენტმა რენე კოტიმ მას ახალი სტატუსი მიანიჭა და შემოიღო ჯილდოების მოქმედი იერარქია: კავალერი, ოფიცერი და კომანდორი.
საფრანგეთის სახელმწიფოს საპატიო ჯილდო ,,აკადემიური პალმის ორდენი“ განსაკუთრებული დამსახურებისათვის სხვადასხვა დროს უკვე გადაეცათ საქართველოს მოქალაქეებს, აკადემიური მიმართულებით - დავით ლორთქიფანიძეს, თამარ ჯაყელს, მზაღო დოხტურიშვილს, ქეთევან ჯაშს, მერაბ ფიფიას, ციური ახვლედიანს და სხვებს. ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში კი - ელისო ბოლქვაძეს, გიორგი ოვაშვილს და ნესტან ნიჟარაძეს.

„აკადემიური პალმის ორდენს“ საფრანგეთის სახელმწიფო განათლების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისა და მსოფლიოში ფრანგული კულტურის აქტიური პოპულარიზაციისათვის გადასცემს როგორც ფრანგ, ისე უცხოელ მოქალაქეებს.
ნინო ჭელიძის ხელმძღვანელობით განათლების საერთაშორისო ცენტრი, საფრანგეთის საელჩოსთან და ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად, უკვე მეოთხე წელია ახორციელებს ერთობლივ სასტიპენდიო პროგრამას. ფრანგულ-ქართული სასტიპენდიო პროგრამა საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამების ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური მაგისტრის ხარისხი როგორც ფრანგულენოვან, ასევე ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის შედეგად. 2016 – 2019 წლებში ოთხჯერ გამოცხადდა სასტიპენდიო კონკურსი და გაიცა 60 სტიპენდია. სასტიპენდიო პროგრამა ახალი მემორანდუმის ფარგლებში მომავალი 3 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდიანტთა ყოველწლიური ფორუმი

განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით მიმდინარე წლის 11-13 ივლისს გუდაურში სტიპედიანტთა ყოველწლიური ფორუმი გაიმართა.
ფორუმი მიზნად ისახავდა სხვადასხვა პროგრამისა და თაობის სტუდენტების შეხვედრასა და გაცნობას, მათი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს როგორც კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა, ასევე 2019-2020 სასწავლო წლის ხუთი სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებულებმა.

ორდღიანი ფორუმის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ცენტრის მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ პროგრამულ ცვლილებებს უმაღლესი განათლების გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, შეფასებისა და შერჩევის სტრუქტურასა და პარამეტრებს, პრიორიტეტებს, მსგავსებასა და განსხვავებას სასტიპენდიო სქემებს შორის.

ინტერაქტიული სესიების განმავლობაში შედგა შეხვედრები კომისიის წევრებთან/სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ცენტრის კურსდამთავრებულებთან, სადაც სტუდენტებმა მიიღეს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რჩევები, გაეცნენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებებს, აკადემიური წარმატების წინაპირობებს, დაეუფლნენ ფსიქოლოგიური თვით-ზრუნვისა და ჯანსაღი ურთიერთობების საწყისებს, გეოგრაფიის, სეზონისა და ადგილმდებარეობის თავისებურებებით გამოწვეულ ფიზიკური საფრთხის ამოცნობას და მართვას.

IECAA

IECAA

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ცენტრის კურსდამთავრებულებთან

28 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულებს შეხვდა.

გიორგი გახარიამ შეხვედრისას ხაზი გაუსვა ახალგაზრდების ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების აუცილებლობას, რათა ქვეყანამ არსებულ გამოწვევებს უპასუხოს.
„ამ ნაწილში თქვენ, თქვენი განათლებით და კომპეტენციით, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგიძლიათ. მთავარია, როგორ მოვახერხოთ თქვენი ცოდნის გამოყენება დღეს, პრაგმატულად, იმისთვის, რომ ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ გამოწვევებს ვუპასუხოთ“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

შეხვედრაზე ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჭელიძემ პრემიერს ცენტრის პროგრამები და სამომავლო გეგმები გააცნო, ხოლო ბენეფიციარებმა - სტიპენდიის ფარგლებში მიღებული გამოცდილება და ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაუზიარეს.

განათლების საერთაშორისო ცენტრი სახელმწიფო დაფინანსებით 2014 წლიდან ახორციელებს სასტიპენდიო პროგრამებს საქართველოს მოქალაქეებისთვის. 2014-2019 წლებში გაცემული სტიპენდიების საერთო რაოდენობა 850-ს აღწევს, მათი ერთი ნაწილი, 350-მდე ბენეფიციარი, უკვე დაბრუნდა ქვეყანაში, სტიპენდიატთა მეორე ნაწილი კი - დღემდე აგრძელებს სწავლას სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა

- ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება და ადმინისტრირება;
- ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება;
- ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ცენტრის კომპიუტერული ქსელის სისტემების მართვის უზრუნველყოფა;
- ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და ბუღალტრული საქმიანობის წარმართვა;

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცენტრის დამტკიცებულმა გეგმამ 7,332,391.00 ლარი შეადგინა. სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის 2019 წლის ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელია 99 %

შეხვედრა ფრანგული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან

29 ოქტომბერს, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, პროექტის - „Doctorate Lab მომავალი დოქტორანტებისათვის“ - პირველი საინფორმაციო შეხვედრა შედგა. შეხვედრა საფრანგეთში სადოქტორო პროგრამებით დაინტერესებულ საქართველოს მოქალაქეებთან ფრანგული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა ჩაატარეს, რომლებიც საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ,,კამპუს ფრანსის'' მოწვევით ჩამოვიდნენ.

ღონისძიებას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 150-მდე სტუდენტი და კურსდამთავრებული დაესწრო, მათ მიიღეს ინფორმაცია საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში დოქტურანტურის საფეხურზე არსებული შესაძლებლობების, გამოწვევებისა და ინოვაციების შესახებ.

„Doctorate Lab''-ის ფარგლებში, მეორე და მესამე ეტაპებზე, პარტნიორი საელჩოების მხარდაჭერით, დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრები უნგრეთისა და იტალიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთანაც.

განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია

„განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“ 2018 წელს ჩამოყალიბდა. იმავე წელს შეიქმნა ასოციაციის „მრჩეველთა საბჭო'', რომლის წევრები არიან სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები, კერძოდ, ასოციაციის მისიაა სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული ხელშეწყობა კურსდამთავრებულთა ჩართულობით, გამოცდილების გაზიარების, ინსტიტუტების განვითარების, პრიორიტეტული პროექტების განხორციელების, კავშირების დამყარებისა და გაძლიერების გზით.

ასოციაციის მიზნებია: კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და გაძლიერება; ასოციაციის წევრთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; განვითარებაზე ორიენტირებული კვლევებისა და კონსულტაციების განხორციელება; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა.

ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განათლება და მეცნიერება;
- ეკონომიკური განვითარება;
- ადამიანის უფლებები;
- კულტურა;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- გარემოს დაცვა;
- რეგიონული განვითარება.

სამომავლოდ ასოციაცია არაერთი პროექტისა და საინტერესო ღონისძიების განხორციელებას გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისა და მისიის შესაბამისად.

მცირე საგრანტო პროგრამა

2019 წლის 5 აგვისტოს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრსა და ცენტრის კურსდამთავ-რებულთა ასოციაციას შორის გრანტის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, ცენტრმა ასოციაციას გადასცა თანხა 150 000 ლარის ოდენობით მცირე საგრანტო პროგრამის განსახორციელებლად.

ხელშეკრულების თანახმად ასოციაციამ მცირე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომლის მიზანი კურსდამთავრებულთა მიერ ახალგაზრდული, საზოგადოებრივი და აკადემიურ-საგანმანათ-ლებლო პროექტების განხორციელების ხელშეწყობაა.

მცირე საგრანტო პროგრამის კონკურსში განაცხადის შეტანის უფლება მიეცათ ასოციაციის წევრებს (წევრთა ჯგუფებს), რომლებმაც ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში მოიპოვეს დაფინანსება, დაასრულეს სწავლა და გახდნენ კურსდამთავრებულთა ასოციაციის წევრები.

მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ძირითადი მიმართულებები ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მსგავსია, კერძოდ: რეგიონული განვითარება; ინოვაციების ხელშეწყობა; განათლება; ხელოვნება და შემოქმედებითი ინდუსტრიები; ჯანდაცვა; კონფლიქტები; გარემოს დაცვა.

კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის მაქსიმალური ოდენობა თითოეული საპროექტო განაცხადისთვის განისაზღვრა 25,000 ლარით თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ხოლო - 15,000 ლარით - თანადაფინანსების არარსებობის შემთხვევაში, საკონკურსო პროექტის ხანგრძლივობა კი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს 8 საკონკურსო პროექტი დაფინანსდა.

დაფინანსებული პროექტები:

- „ინოვაციური ჩასასხმელი მასალის განვითარება უნიკალური ტექნოლოგიის, გაჯის ნალესობაზე შესრულებული, კედლის მხატვრობის კონსერვაციისათვის“, პროექტის ავტორი: მარიამ საღარაძე;
- „ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში“, პროექტის ავტორი: ავთანდილ თოდუა;
- "ლილე" - კომპიუტერული თამაშის პროტოტიპი“, პროექტის ავტორი: ლუკა ლებანიძე;
- ,,მდინარე რიონის აუზის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“, პროექტის ავტორი: ზაზა გულაშვილი;
- „მულტიმედია საგამოფენო და საგანმანათლებლო პროექტი Post.Digital.Dreams“, პროექტის ავტორი: ხატია ჭოხონელიძე;
- „თანამედროვე ხელოვნების არქივი - სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების მონაცემთა ბაზა“, პროექტის ავტორი: ნიკოლოზ ნადირაშვილი;
- „სტუდენტთა შესაძლებლობების გაზრდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაში მათი ჩართულობისთვის“, პროექტის ავტორი: ნინო იაკობიშვილი;
- „განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა საკონსულტაციო პროგრამა IECA Consulting Program“, პროექტის ავტორი: გიორგი ციმინტია;

სტატისტიკა

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 2014-2019 წლებში 850-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველთათვის!

2014-2019

2014 — 77 სტიპენდია

2019 — 850 სტიპენდია

2014 — 14 ქვეყანაში დაფინანსებული სტიპენდიანტი

2019 — 40 ქვეყანაში დაფინანსებული სტიპენდიანტი

2014 — 3 სასტიპენდიო პროგრამა

2019 — 12 სასტიპენდიო პროგრამა

2019 — 5 საერთაშორისო პარტნიორი

ბიუჯეტის სტატისტიკა

2014	3 802 154, 00 ლარი
2015	4 661 015, 00 ლარი
2016	5 309 774, 00 ლარი
2017	5 899 048, 00 ლარი
2018	6 494 000, 00 ლარი
2019	7 332 391, 00 ლარი

2014-2019 პარტნიორების თანამონაწილეობა 7 000 000 ლარზე მეტი

სტიპენდიები 2019

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები	56
საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები	11
საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები	11
საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა	9
სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში	12
ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამა	11
სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში ,,Stipendium Hungaricum''	49
სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის	1
აკადემიური პროგრამები სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში	5
აკადემიური პროგრამები იტალიაში	5

სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით - 2019

უნგრეთი	53
აშშ	31
დიდი ბრიტანეთი	21
საფრანგეთი	13
იტალია	11
გერმანია	9
ნიდერლანდები	7
ესპანეთი	6
შვეიცარია	4
ავსტრია	2
შვედეთი	2
ჩეხეთი	2
საქართველო	1
ესტონეთი	1
ლიხტენშტაინი	1
ლიტვა	1
ნორვეგია	1
დანია	1
სლოვაკეთი	1
უკრაინა	1
კანადა	1

2019

გენდერული მაჩვენებელი - 2019



დიეგო კოლასი
საფრანგეთის ელჩი საქართველოში



განათლების სფეროში თანამშრომლობა საქართველოსა და საფრანგეთსა შორის უკვე დიდი ხანია არსებობს. ეს ძალიან მჭიდრო ურთიერთობაა, რომელიც იწყება სკოლიდან და გრძელდება საუნივერსიტეტო დონეზე ისევე, როგორც ბევრ პროფესიულ მიმართულებაში. ეს თანამშრომლობა საშუალებას უნდა აძლევდეს მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ქართველ მეცნიერებს, რომელთაც საფრანგეთში სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ, მიიღონ საუკეთესო, მაღალ-პროფესიული განათლება, როგორც სამეცნიერო და ეკონომიკურ მიმართულებებში, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

თანამშრომლობა უმაღლესი განათლების მიმართულებით საფრანგეთის საელჩოს ერთ-ერთი პრიორიტეტია საქართველოში. მე ვამაყობ ამ სასტიპენდიო პროგრამით, რომელიც თანადაფინანსებულია საფრანგეთის მთავრობისა და ჩვენი შესანიშნავი პარტნიორის - სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ. ამ პროგრამამ 70-მდე ქართველ სტუდენტს საშუალება მისცა ესარგებლა საფრანგეთში სწავლის შესაძლებლობით ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ყველა მიმართულებასა და სპეციალობაში.

სასტიპენდიო პროგრამა საფრანგეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი გახლავთ. ჩვენთვის დიდი პატივია წვლილი შევიტანოთ საქართველოს მომავლის შენებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რათა ვუპასუხოთ ქვეყნის სამომავლო საჭიროებებს.

ანტონიო ენრიკო ბარტოლი
იტალიის ელჩი საქართველოში

განათლების საერთაშორისო ცენტრისა და მისი აქტიური დირექტორის ქ-ნი ნინო ჭელიძის სახით, რომელსაც მადლობას ვუხდი, ჩვენ შევიძინეთ იდეალური, პროფესიონალი და ინიციატივიანი პარტნიორი, რომელიც ისევე დარწმუნებულია, როგორც ჩვენ, რომ საერთაშორისო ასპარეზი ზოგადად პროგრესისა და განვითარების, განსაკუთრებით კი - განათლებისა და სამეცნიერო კვლევების დარგის განუყოფელი ელემენტია.

იმ სტუდენტების გარდა, რომლებმაც იტალიის მთავრობის სასწავლო სტიპენდია მოიპოვეს, ამ სემესტრში იტალიურ უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიულ ზრდას განაგრძობს სტუდენტების პირველი ნაკადი, რომელიც შეირჩა წელს, იანვარში დაწყებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთობლივი დაფინანსების პროექტის ფარგლებში.

თავიდან პროექტი ამოქმედდა რვა იტალიურ უნივერსიტეტში, რომლებსაც მოგვიანებით კიდევ სამი დაემატა (მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პიზისა და სიენის უნივერსიტეტები), ინტერესი სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმაც გამოხატა. ვიმედოვნებ, რომ დაინტერესებულ სასწავლებელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, შერჩევის დონეც თანდათანობით დაიხვეწება და მომავალში პროგრამაში ჩაერთვებიან იტალიელი სტუდენტები, რომლებიც საქართველოში ისწავლიან. ეს კიდევ უფრო გაამლიერებს კულტურისა და ცოდნის ურთიერთგაცვლას, რაც მხოლოდ და მხოლოდ გაამდიდრებს ორივე მხარეს.

ჩვენი მთავარი მიზანია სასწავლო სტიპენდიების თანადაფინანსების პროგრამის მეშვეობით სტუდენტური გაცვლა უფრო ინტენსიური გახდეს და გაიზარდოს სტუდენტებისა და პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტების რიცხვი.

განათლების საერთაშორისო ცენტრთან ერთად ვმუშაობთ Doctorate Lab-ის განხორციელებაზე, რომელიც 2020 წლის იანვრის მესამე კვირას გაიმართება და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უმნიშვნელოვანესი იტალიური უმაღლესი სასწავლებლების (მათ შორის მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბოლონიის უნივერსიტეტის) წარმომადგენლები, რათა ქართველ სტუდენტებს გააცნონ შესაბამისი სასწავლებლების სადოქტორო პროგრამების პირობები და მოთხოვნები. ამ შეკრების ფორმატი, ტრადიციული აკადემიური პრეზენტაციის ნაცვლად, მონაწილეთა შორის პირდაპირი დიალოგის გამართვას გულისხმობს. ასევე, ჩვენი უნივერსიტეტები წარადგენენ საკუთარ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებსაც.

ამ ინიციატივის მიზანია, პოტენციურ სტიპენდიანტებს კითხვა-პასუხის პირდაპირ რეჟიმში მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით იმისთვის, რომ სტუდენტებისთვის სწავლის პროცესი უფრო ნაყოფიერი და სასიამოვნო გახდეს.

ჩემი აზრით, დასაწყისისთვის ეს უკვე კარგი შედეგია, თუმცა მომავალ თანამშრომლობას ამით არ შემოვფარგლავდი. განათლების საერთაშორისო ცენტრთან მუშაობა ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. ჩვენ შევძლებთ უამრავ სხვა ინიციატივასაც ჩავუყაროთ საფუძველი. იტალიის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან დამყარებულ პარტნიორობას შეუძლია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტთა შორის საზაფხულო სკოლის შექმნას. ამბიციური ჩანაფიქრი ბევრი გვაქვს და ჩვენ მათ ეტაპობრივად განვახორციელებთ.

ვიქტორია ჰორვატი
უნგრეთის ელჩი საქართველოში

ჩვენთვის გამორჩეულია განათლების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობა. უნგრეთს, მსოფლიო მასშტაბით, 60 სხვადასხვა ქვეყნის („Stipendium Hungaricum“) მენეჯმენტთან აქვს მუშაობის გამოცდილება, თუმცა განათლების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობა სანიმუშოა, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ წარმართავს სააპლიკაციო პროცედურებს, ამყარებს კომუნიკაციას საელჩოსთან, მეთვალ-ყურეობს პროგრამის მიმდინარეობას და ახორციელებს მხარდაჭერას. აღნიშნული ნაყოფიერი თანამშრომლობა სულ რამოდენიმე წლის წინ დაიწყო, თუმცა, ჩვენ გვჯერა, რომ ქმნის როგორც გრძელვადიანი თანამშრომლობის, ასევე, საქართველოსა და უნგრეთის სახელმწიფოთა შორისი მეგობრობის მყარ საფუძველს.

სასტიპენდიო პროგრამა უდაოდ არის ჩვენი საერთო პროექტის ფლაგმანი, თუმცა ჩვენ არა მხოლოდ სასტიპენდიო პროგრამაზე ვმუშაობთ ერთობლივად, ჩვენს თანამშრომლობაში უდიდეს როლს თამაშობს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და უნგრეთის გამოცდილების გაზიარება, რომელიც ქვეყანამ მიიღო 90-იან წლებში. საუნივერსიტეტო ლიდერობის გაცვლითი პროგრამების გარდა, უნგრეთი მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს, როგორც ერასმუსის პარტნიორ ქვეყანას. ჩვენი საერთო პროექტების განხორციელების დროს, გავაცნობიერეთ, რომ პროფესიულ მომზადებას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და მხარდაჭერილი იქნას საერთაშორისო დონეზე. უნგრეთს აქვს სრული მზაობა დაეხმაროს საქართველოს დააბალანსოს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება და ასევე ცდილობს, იყოს საუკეთესო პარტნიორი ამ პროექტების მხარდაჭერის კუთხით.

ჯულიუს ცაი
საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში მოხარულია, რომ ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს განათლების საერთაშორისო ცენტრთან.

ამერიკულ-ქართული საჯარო და კერძო სექტორების სრული თანადაფინანსებით, ათზე მეტი ქართველი სტუდენტი, ყოველწლიურად მიემგზავრება ამერიკულ უნივერ-სიტეტებში - ყველა აკადემიური მიმართულებით - სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. ვამაყობთ ამ თანამშრომლობით, რაც ამ გაცვლითი აკადემიური პროგრამის მონაწილეთა მსოფლიოს საზოგადოების წევრად ჩამო-ყალიბებას და საქართველოს მომავალი თაობის გაძლიერებას ემსახურება. ვულოცავთ განათლების საერთაშორისო ცენტრს წარმატებულ წელს და იმედი გვაქვს, რომ კვლავაც შევუწყობთ ხელს ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებას და შევქმნით ნათელ მომავალს.

თბილისი, ილია ჭავჭავაძის N7, მეორე სართული
Ilia Chavchavadze Avenue N7, II Floor, Tbilisi, Georgia
0322 97 01 97
Info-iec@iec.gov.ge
Iec.gov.ge